



**„რაჩხა” ჰიდროელექტრო-სადგურის მშენებლობისათვის  
საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევა**

**თბილისი 2016წ**



**„რაჩხა” ჰიდროელექტრო-სადგურის მშენებლობისათვის  
საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევა**

შ.პ.ს. „გეოტექსერვისი”

დირექტორი



გ. ბენდუქიძე

პროექტის მენეჯერი

ს. ლაღანიძე

**თბილისი 2016წ**







## ტექნიკური დავალება

“1” მარტი 2016წ.

- დამკვეთი - შპს.ს. „ჯი ენ ელექტრიკი“;
- ობიექტის დასახელება – „რაჩხა“ ჰიდროელექტრო-სადგურის მშენებლობისათვის საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევა;
- მშენებლობის ტიპი (ახალი, რეკონსტრუქცია, გაფართოება) – ახალი;
- ობიექტის მისამართი – საქართველო, ცაგერის მუნიციპალიტეტი, მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადის მდ. რაჩხას ხეობა, სოფლების ისუნდერსა და მახურას შორის;
- ობიექტის დაპროექტების სტადია – საპროექტო დოკუმენტაცია;
- ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – ;
- ობიექტის ტექნიკური დახასიათება – მოცემულ ტერიტორიაზე მოეწეობა წყალამდები ნაგებობა, მიღდენით წყალი მიეწოდება ჰესის შენობას;
- საველე სამუშაოები – მოცემულ ტერიტორიაზე ჩატარდეს დანართი 1-ში მითითებული საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური სამუშაოები. საველე სამუშაოები ჩატარდება დამკვეთთან შეთანხმებული დანართი 1-ის შესაბამისად (დანართი 1 ერთვის ხელშეკრულებას)

დამკვეთი:



## საძიებელი

1. შესავალი -----	7
2. კლიმატური პირობები -----	9
3. უბნის გეომორფოლოგიური აგებულება -----	12
4. უბნის გეოლოგიური აგებულება -----	13
5. უბნის ჰიდროგეოლოგიური აგებულება -----	16
6. ტექტონიკა და სეისმურობა -----	17
7. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა -----	19
7.1 სათავე ნაგებობა -----	19
7.2 სადწნო მილსადენი -----	20
7.3 ჰესის შენობა -----	21
8. საველე ცდები -----	22
8.1 SPT -----	22
8.2 წყლის საცდელი ჩასხმა ჭაბურღილებში -----	25
8.3 წყლის საცდელი ამოტუმბვა ჭაბურღილიდან -----	26
9 გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები -----	28
10 საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა -----	31
11 გეოფიზიკური კვლევა -----	35
11.1 სეისმური საშიშროების შეფასება -----	37
11.2 სეისმური პროფილირება -----	49
11.3 ვერტიკალური ელექტრული ზონდირება -----	50
11.4 გეოფიზიკური კვლევის დასკვნა -----	76
12. გამოყენებული ლიტერატურა -----	78



**ტექნიკური დანართები:**

- დანართი 1 ლაბორატორიული კვლევის შედეგების ჯამური ცხრილი;
- დანართი 2 გრუნტების გრანულომეტრიული შედგენილობა;
- დანართი 3 შურფებიდან აღებული გრუნტების გრანულომეტრიული შედგენილობა;
- დანართი 4 თიხოვანი გრუნტების ძვრის მაჩვენებლები;
- დანართი 5 წყლის ამოტუმბვის შედეგები ჭაბურღილებში;
- დანართი 6 გრუნტის წყლის ქიმიური შედგენილობა;
- დანართი 7 გრუნტის წყლის აგრესიულობა;
- დანართი 8 გარემოს აგრესიულობა;
- დანართი 9 ფოტოდანართები
- დანართი 10 გადათვლილი სეისმოგრამები

**ბრაზიკული დანართები:**

- ნახაზი 1 ჭაბურღილების და შურფების განლაგების გეგმა;
- ნახაზი 2 უბნის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა;
- ნახაზი 3 სათავე ნაგებობის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა;
- ნახაზი 4 პესის შენობის ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა;
- ნახაზი 5 ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილები;
- ნახაზი 6 შურფების ლითოლოგიური ჭრილები;
- ნახაზი 7 ორთოფოტო;



## 1. შესავალი

შპს „გეოტექსერვის“-სა და შპს „ჯი ენ ელექტრიკს შორის 2016 წლის 12 ივლისს დადებული №12072016 ხელშეკრულების საფუძველზე, ცაგერის მუნიციპალიტეტში მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადის რაჩხას ხეობაში სოფლების ისუნდერასა და მახურას შორის ჰიდროკვანძის მოწყობის ტერიტორიაზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევა.

პროექტით გათვალისწინებულია სათავე ნაგებობიდან სადაწნო მილსადენით მდინარის წყლის წამოღება და მდ. რაჩხასა და მდ. ცხენისწყლის შესართავის მიმდებარე ტერიტორიაზე მოწყობილ ჰესის შენობამდე მოყვანა.

მიღებული ტექნიკური დავალების თანახმად აღნიშნულ ტერიტორიაზე ჩასატარდა საინჟინრო-გეოლოგიური და გეოფიზიკური კვლევები.

საკვლევ ტერიტორიაზე სამივე უბანზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა

სათავე ნაგებობაზე დაგეგმილია 2 ჭაბ. ბურღვა თითოეული 35.0მ სიღრმის.

ჭაბურღილების ბურღვა წარმოებდა თვითმავალი საბურღი დანადგარით URB 2a-2. მშრალად 100% კერნის ალებით. ბურღვის დროს გამოყენებული იყო 146მმ, 127მმ და 108მმ დიამეტრის საბურღი და საცავი მილები.

სადაწნო მილსადენის ტრასაზე გაბურღულია 5 ჭაბურღილი (№3-35მ, №4-15მ, №4ა-35მ, №5-15მ, №6-35მ) და გაყვანილია 7 შურფი თითოეული 2.5მ სიღრმის.

ჰესის შენობის სამშენებლო მოედანი შესწავლილია 2 – 35მ სიღრმის ჭაბურღილის ლითოლოგიურ ჭრილებზე დაყრდნობით (ჭაბ.№7, ჭაბ. №8).

ჭაბურღილებში ჩატარებულია სტანდარტული პენეტრაციის ცდები, სულ 62 ცდა.

ჭაბურღილებში სადაწნო მილსადენის ტრასაზე და ჰესის შენობის ტერიტორიის ამგები გრუნტების ფილტრაციული თვისებების დასადგენად აერაციის ზონაში ჩატარებულია წყლის საცდელი ჩასხმები სულ 16 ცდა, ხოლო წყალშემცველი პორიზონტებიდან ჩატარებულია საცდელი ამოტუმბვები, სულ 7 ამოტუმბვა.

ჭაბურღილებიდან და შურფებიდან აღებულია დაშლილი და დაუშლელი სტრუქტურის ნიმუშები. ჭაბურღილებიდან აღებულია წყლის სინჯები.

გრუნტის ნიმუშები და წყლის სინჯები შესწავლილია ლაბორატორიულად, დადგენილია მათი ფიზიკური, მექანიკური, გრანულომეტრიული და ქიმიური თვისებები.



დავადებით გათვალისწინებული იყო კლდოვანი ქანების დეტალური შესწავლა (RMR, GSI, Lugeon test, UCS, PLT, Triaxial test, Direct Shear test, პეტროგრაფია). გეოფიზიკურმა და საინჟინრო-გეოლოგიურმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ დაძიებულ სიღრმემდე (35მ-50მ) საკვლევ ტერიტორიაზე ძირითადი ქანები არ გვხვდება, ამიტომ მათი შესწავლა აღარ გახდა საჭირო.

ცხრილში 1.1 მოცემულია შესრულებული ს/გ სამუშაოების სახეობები და მოცულობა.

№	სამუშაოს სახეობა	განზ.	რაოდ.
1	<b>საველე საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები</b>		
1.1	საინჟინრო-გეოლოგიური აგებმა	უბანი	3
1.2	ჭაბურღილების ბურღვა	მ	205
1.3	შურფების გაყვანა	მ	17.5
1.4	სტანდარტული პენეტრაციის ცდა	ცდა	62
1.5	წყლის საცდელი ჩასხმა ჭაბურღილებში	ცდა	16
1.6	წყლის საცდელი ამოტუმბვა ჭაბურღილებიდან	ცდა	7
1.7	გრუნტის საველე გაცრა	ცდა	7
1.8	ნიმუშების აღება ჭაბ. და შურფებიდან	ნიმუში	73
2	<b>ნიმუშების ლაბორატორიული კვლევა</b>		
2.1	ბუნებრივი ტენიანობა	ცდა	42
2.2	სიმკვრივე	ცდა	21
2.3	მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე	ცდა	42
2.4	ატერბერგის ზღვრები	ცდა	40
2.5	გრანულომეტრიული შედგენილობა	ცდა	25
2.6	ძვრის მაჩვენებლები	ცდა	25
2.7	მდინარის და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი	ცდა	8
3	<b>საველე გეოფიზიკური სამუშაოები</b>		
3.1	სეისმური საშიშროების შეფასება	უბანი	1
3.2	ვერტიკალური ელექტრო ზონდირება	წერტილი	8
3.3	სეისმო პროფილირება	პროფილი	9
4	<b>კამერალური სამუშაოები</b>		
4.1	საველე გეოლოგიური მასალების დამუშავება	უბანი	1
4.2	საველე გეოფიზიკური მასალების დამუშავება	უბანი	1
4.3	ლაბორატორიული მასალების დამუშავება	უბანი	1
4.4	ფონდური გეოლოგიური, მეტეოროლოგიური და ს/გ მასალების მოძიება და დამუშავება	უბანი	1
4.5	საველე და ლაბ. კვლევების შედეგების კომპ. დამუშავება და ს/გ ანგარიშის შედგენა (ქართულ და ინგ ენაზე ელ. ვერსიით)	ანგარიში	1



## 2. კლიმატური პირობები

ლენსუმი მოქცეულია დასავლეთ საქართველოს ნოტიო სუბტროპიკულ ზონაში. რელიეფის მორფომეტრიული და მორფოლოგიური თავისებურებები და ზღვიდან საკმაოდ მაღლა განლაგებულობა ჰაერის თავისებურებებს. აქაური ჰავა გარდამავალია ნოტიო სუბტროპიკულიდან კონტინენტურისკენ.

ზღვის დონიდან სიმაღლეთა შორის დიდი განსხვავება და რელიეფის ფორმათა სხვადასხვაობა განაპირობებს მხარის სხვადასხვა ნაწილში ჰაერის ტემპერატურათა შორის მნიშვნელოვან სხვაობას.

საკვლევი უბნის კლიმატური პირობების შეფასება ეყრდნობა ლენსუმის (№156) მეტეოსადგურების მონაცემებს.

საქართველოს სამშენებლო კლიმატური დარაიონების რუკის მიხედვით რაიონი მიეკუთვნება II კლიმატურ და II-ბ ქვერაიონს. იანვრის საშუალო ტემპერატურა  $-5^{\circ}\text{C}$ -დან  $-2^{\circ}\text{C}$ -დე იცვლება, ხოლო ივლისის საშუალო ტემპერატურა  $+21^{\circ}\text{C}$ -დან  $+25^{\circ}\text{C}$ -ის ფარგლებშია.

უბნისათვის დამახასიათებელი ჰაერის ტემპერატურული რეჟიმი და ტენიანობა, აგრეთვე ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და მათი განაწილება წლის განმავლობაში, აღებული შესაბამისი ცნობარებიდან და მოცემულია ცხრილში 2.1

ჰორიზონტალურ ზედაპირზე მზის პირდაპირი  $S$  და ჯამური რადიაცია  $Q$ , კვტ.სთ/მ<sup>2</sup> თვეში, პარამეტრები მოცემულია ცხრილში 2.1

ცხრილი 2.1

იანვარი		აპრილი		ივლისი		ოქტომბერი	
S	Q	S	Q	S	Q	S	Q
24	54	60	113	101	191	72	101

შინიშვნა: მზის პირდაპირი  $S$  და ჯამური  $Q$  რადიაციის მახასიათებლები წარმოდგენენ საანგარიშო სიდიდეებს წლის შესაბამისი დროის მიხედვით.



ჰაერის ტემპერატურული პარამეტრები მოცემულია ცხრილებში.

ჰაერის ტემპერატურა - ცხრილი 2.2

თვეები												წლის საშუალო
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
0.1	1.1	5.3	11.1	16.4	19.5	21.8	22.0	17.9	12.5	7.0	1.7	11.4

ჰაერის ტემპერატურა - ცხრილი 2.3

აბსოლუტური მინიმუმი	აბსოლუტური მაქსიმუმი	ყველაზე ცხელი თვის საშ. მაქს.	ყველაზე ცივი სუბდროუმი საშ.	ყველაზე ცივი დღის საშ.	ყველაზე ცივი პერიოდის საშ.	საშუალო ტემპერატურა 13 საათზე	
						ყველაზე ცივი თვის ცივი	ყველაზე ცხელი თვის თვის
-26	41	29	-9	-12	0	7	27

ჰაერის ფარდობითი ტენიანობა - ცხრილი 2.4

თვეები												წლის საშუალო
I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
84	82	77	72	72	74	75	76	78	83	80	84	78

ნალექების წლიური რაოდენობა დასავლეთიდან-აღმოსავლეთის მიმართულებით როგორც წესი მცირდება. მხარის დასავლეთ ნაწილში ნალექების წლიური რაოდენობა 1200მმ-ს აღწევს, ზამთრისა და ზაფხულის ნალექთა შორის სხვაობა მნიშვნელოვანი არ არის. ნალექების წლიურ მსგელობაში ორი პიკია: პირველი მაქსიმუმია ოქტომბერში (1250-1400მმ), ხოლო მეორე იანვარში (900-1100მმ). მინიმუმებია აპრილსა და აგვისტოში (600-700მმ), ადგილის სიმაღლის ზრდასთან ერთად ნალექების რაოდენობა ზამთარში მცირდება, ხოლო ზაფხულში იზრდება.



- ✓ ატმოსფერული ნალექების რაოდენობა წელიწადში შეადგენს – 1298მმ;
- ✓ ნალექების დღეღამური მაქსიმუმი – 127მმ;
- თოვლის საფარის წონა – 0.82კპა;
- თოვლის საფარის დღეთა რიცხვი – 54;

ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა  $w_0$  5 წელიწადში ერთხელ 0.38კპა;  
ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა  $w_0$  15 წელიწადში ერთხელ 0.60კპა;

- 1 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 19 მ/წმ;
- 5 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 25 მ/წმ;
- 10 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 28 მ/წმ;
- 15 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 30 მ/წმ;
- 20 წელიწადში ერთხელ მოსალოდნელია ქარი, სიჩქარით 31 მ/წმ;

გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე 0-სმ:



### 3. უბნის გეომორფოლოგიური აგებულება

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ცაგერის მუნიციპალიტეტში და მოიცავს მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადის მდინარე რაჩხას ხეობას, სოფლების ისუნდერსა და მახურას შორის. (იხ. საკვლევი არეალის ტოპოგრაფიული რუკა)

მდინარე რაჩხა წარმოადგენს მდინარე ცხენისწყლის მარჯვენა შენაკადს. ის სათავეს იღებს ასხის მასივის სამხრეთ კალთაზე, კერძოდ მთა საჩიქვანოს აღმოსავლეთ ფერდობზე.

ჰიფსომეტრიული მდებარეობის, ლითოლოგიის და ტექტონიკური აგებულების საფუძველზე, ლეჩხუმის ტერიტორიაზე გამოიყოფა რამდენიმე ზონა:

1. მაღალმთიანი ფიქლოვანი ზონა უმთავრესად ეროზიული, შედარებით ნაზი რელიეფით.
2. მაღალმთიანი პორფირიტული ზონა ეროზიული და მყინვარული რელიეფით (სამეგრელოს ქედის აღმოსავლური ნაწილი).
3. დაბალმთიანი, მესამეული ქანებით აგებული, ეროზიულ-მეწყრული რელიეფის მქონე ზონა (რაჭა-ლეჩხუმის სინკლინური ზონა).
4. საშუალო მთიანი, კირქვიანი, ეროზიულ-კარსტული ზონა.

ზემოთ აღნიშნულ გეომორფოლოგიურ ზონებში გამოიყოფა რაიონები. პირველი ორი ზონის ფარგლებში გამოიყოფა თითო რაიონი.

მესამე ზონა იყოფა ექვს რაიონად: 1.ჯონოულის ხეობა; 2.ცაგერის ქვაბული; 3.შუა ლეჩხუმის სერი; 4.ორბელის ქვაბული; 5.ლაბეჭინას სერი; 6.რიონის ხეობა ტვიშის კლდეკარის ზემოთ

მეოთხე ზონაში შედის სამი რაიონი : ხვამლის, ასხის და ნაქერალას კირქვიანი მასივები.

შეწავლილი რაიონი მიეკუთვნება დაბალმთიანი, მესამეული ქანებით აგებული, ეროზიულ-მეწყრული რელიეფის მქონე რაჭა-ლეჩხუმის სინკლინურ ზონას.

საგარაუდოდ შესწავლილი ტერიტორია მთლიანდ წარმოადგენს პალეო (ძველ) მეწყრულ სხეულს, რომელიც მოწყვეტილია ასხის მასივისგან და ჩამოცურებულია კიმერიჯულ-ტიტონური ასაკის ფერადი წყების თიხებზე მდინარე ცხენისწყლის ხეობის მიმართულებით.

ჩვენს ხელთ არსებული მასალებით უფრო ზუსტად რაიმეს თქმა შეუძლებელია. არსებული მეწყრული სხეული მთლიანობაში სტაბილურია, მხოლოდ მისი ზედაპირული ზოგიერთი ნაწილი, სხვადასხვა ძალების ზემოქმედებით (გრავიტაცია,



მიწისქვეშა წყლების ზეგავლენა, ტექნოგენური პროცესები, ხეების ჭრა და სხვა) იმყოფება არამდგრად მდგომარეობაში.

#### 4. უბნის გეოლოგიური აგებულება

საპროექტო ტერიტორია შედის კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნაოჭა სისტემის გაგრა-ჯავის ზონის რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთის ნაწილში.

პირველი მონაცემები რაჭისა და ლეჩხუმის რაიონების გეოლოგიის შესახებ გვხვდება გ.აბიხის (1858), ე.ფავრის (1875) შრომებში. გასული საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში რაჭა-ლეჩხუმის ტერიტორიაზე ჩატარდა 1:50 000 მასშტაბის სახელმწიფო აგეგმვითი სამუშაოები. ამ ნაშრომში (გეგუჩაძე და სხვ. 1976) დეტალურადაა გაანალიზებული ადრე ჩატარებული რეგიონალური გეოლოგიის, სტრატиграფიის, ლითოლოგიის, ტექტონიკის, გამადნების და სხვა საკითხები, აქვე აღვნიშნავთ, რომ მას შემდეგ ამ რეგიონში სრულმასშტაბიანი გეოლოგიური სამუშაოები არ ჩატარებულა.

შესწავლილი ტერიტორია ძირითადად აგებულია იურული, ცარცული და მეოთხეული ასაკის ნალექებით. ქვემოთ მოვიყვანთ აღნიშნული ნალექების დახასიათებას.

##### იურული სისტემა

ბაიოსის პორფირიტული სერიის ტოპარის ქვეწყება (J<sub>2b</sub>). ქვეწყება აგებულია ტუფებით, ტუფობრექჩიებით და ლავური ბრექჩიებით, რომლებიც გადაფარულია ჰიპერსტენიანი ბაზალტის ლავური ნაკადებით.

ხოჯალის (J<sub>2hd</sub>) (პორფირიტული) წყება აგებულებაში მონაწილეობას იღებს ვულკანოგენური და ტერიგენული წარმონაქმნები - სხვადასხვაგვარი ტუფები (აგლომერატული, აგლომერატულ-კრისტალური და პელიტური), ტუფობრექჩიები და ტუფოკონგლომერატები, პორფირიტების მძლავრი განფენები, რომლებთანაც ჭრილის ზედა ნაწილებში მორიგეობენ დანალექი წარმონაქმნები - ქვიშაქვები და თიხაფიქლები. სადაც გამოყოფილია შემდეგი ჰორიზონტები: პირველი ჰორიზონტი აგებულია ფსამიტური, იშვიათად ალევროლიტულ-კრისტალურ-ლითოკლასტური სპილიტური პორფირიტების ტუფებით, რომლებიც შეიცავენ ტუფოგენური გრაუვაკურ-არკოზული ქვიშაქვების, საშუალო და უხეშმარცვლოვანი ვულკანოკლასტოლითების და სპილიტური ლავების შუაშრებს. ქვეწყების ძირითად შემადგენელ კომპონენტებს წარმოადგენს სპილიტები, კერატოფირები და ალბიტიზირებული პორფირიტები.

მეორე ჰორიზონტი აგებულია ავგიტ-ლაბრადორიანი, უპირატესად უხეშმარცვლოვანი ვულკანოკლასტოლითებით და ლავებით, აგრეთვე იგივე შემადგენლობის დიაბაზის



გამკვეთი სხეულებით. ხასიათდებიან სფერული განწევრებით, ხშირად მანდელშტეინური სტრუქტურით.

მესამე ჰორიზონტი რუხისწყლის ანტიკლინი, წარმოდგენილია ტუფებით, ტუფური და ლავური ბრექჩიებით, ჰიპერსტენიანი ბაზალტების განფენებით. იშვიათად მცირე რაოდენობით მათ ენაცვლებათ ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტები და მათი ვულკანოკლასტოლითები. ჰიპერსტენიანი ბაზალტები წარმოდგენილია მკვრივი შავი ფერის ქანებით ცხიმოვანი ელვარებით. სხვა ქანებიდან განსხვავდებიან მელანოკრატული იერით.

მეოთხე ჰორიზონტი აგებულია შრეებრივი ფსამიტური ავგიტ-ლაბრადორიანი პორფირიტების ფსამიტური კრისტალური - და ლითოკლასტური ტუფებით, ზედა ნაწილებში გვხვდება გრაუვაკული ქვიშაქვების შუაშრეები. წყების სიმძლავრე 1500-2000 მ ფარგლებშია. მისი ზედა საზღვარი განისაზღვრება კიმერიჯულ-ტიტონური ასაკის ფერადი წყების ან ქვედა ცარცულის ასაკის კირქვების ტრანსგრესიული განლაგებით. ამ წყების ქანებს მიკუთვნება გარკვეულ სტრატეგრაფიულ ჰორიზონტთან, რამდენადაც ისინი სწრაფად იცვლებიან როგორც ვერტიკალურ ჭრილში, აგრეთვე მიმართებაზე, გამწვანებულია. მაგრამ უდაოა, რომ ხოჯალის წყების ასაკი არ გადის ბაიოსის საზღვრებიდან.

ფერადი წყება - კიმერიჯულ-ტიტონური (J<sub>3</sub>km+t) ტრანსგრესიულადაა განლაგებული ხოჯალის წყების სხვადასხვა ჰორიზონტზე. წარმოდგენილია თიხებით, ქვიშაქვებით, ბრექჩიებით, კონგლომერატებით, დამორჩილებული რაოდენობით გვხვდება კირქვებისა და მერგელების შუაშრეები, ტუფების და ბაზალტების განფენები, ზედა ნაწილებში კი თაბაშირის ლინზები და შუაშრეები. წყებისთვის დამახასიათებელია ჭრელი შეფერილობა წითელი ტონების უპირატესობით. საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში ფერადი წყების სიმძლავრე 1-70 მ-ია.

### ცარცული სისტემა

ბერიასულ-ვალანჟინურ-ჰოტრივული (K<sub>1</sub>br-h) ნალექები ტრანსგრესიულადაა განლაგებული იურული სისტემის სხვადასხვა სართულებზე, ხოლო თავის მხრივ ის გადაფარულია ბარემული კირქვებით. წარმოდგენილია თხელი წყლის კარბონატული ნალექებით - კირქვებით, გადოლომიტებული კირქვებით და დოლომიტებით. ძალიან ღარიბია ფაუნით. სიმძლავრე 150-200მ.

ბარემული (K<sub>1</sub>b) სარგებლობს ფართო გავრცელებით. მის შემადგენლობაში გამოყოფილია ორი ფაციესი - ურგონული და ამონიტური. ქვედა, შედარებით მძლავრი, ნაწილი წარმოდგენილია დოლომიტებით, გადოლომიტებული და კრისტალური კირქვებით. ზედა



ნაწილი აგებულია კირქვებით და მერგელოვანი კირქვებით, რომლებიც შეიცავენ ამონიტურ ფაუნას. ზოგჯერ მათ შორის ფიქსირდება გარდამავალი დასტა - დოლომიტებისა და კირქვების მორიგეობით. სიმძლავრე 250-400 მ.

აპტური (K<sub>1ap</sub>) წარმოდგენილია თხელშრებრივი მერგელოვანი კირქვებით, მერგელებით და იშვიათად მერგელოვანი თიხებით. სიმძლავრე დაახლოებით 20-25 მ.

ალბური (K<sub>1al</sub>) თანხმობით აგრძელებს აპტურ ნალექებს და ასევე თანხმობით გრძელდება სენომაური ასაკის ქანებით. წარმოდგენილია მერგელოვანი და თიხური ფაციესებით. ალბური ნალექები უწყვეტად გაიდევენება ცენტრალური სამეგრელოს დეპრესიის გასწვრივ და მდ.ტეხურის ხეობის გაკვეთის შემდეგ უკავშირდება ასხის კომპლექსს.

### **მეოთხეული ნალექები**

მეოთხეული ნალექები საპროექტო ტერიტორიაზე სარგებლობენ მნიშვნელოვანი გავრცელებით და წარმოდგენილია სხვადასხვა ასაკის კონტინენტური, მდინარეული, დელუვიური, კოლუვიური, პროლუვიური და შერეული გენეზისის ნალექებით. საზღვარი ჩამოთვლილ, სხვადასხვა გენეტურ ტიპებს შორის, ხშირად ტარდება პირობითად. პირობითია აგრეთვე მათი ასაკის განსაზღვრაც, რომელიც დამყარებულია მხოლოდ გეომორფოლოგიურ მეთოდზე.

საკვლევ ტერიტორიაზე ყველაზე უფრო ფართე გავრცელებით სარგებლობს ალუვიური და პროლუვიური ტიპის ნალექები. რომელიც გამოირჩევა მასალის მრავალფეროვნებით და გრანულომეტრიით. მასალის ზომები მერყეობს რამდენიმე სანტიმეტრიდან ათეულ მეტრამდე და ძირითადად აგებულია იურული და ცარცული ასაკის ნალექებით.



## 5. უბნის ჰიდროგეოლოგიური აგებულება

ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით საკვლევი ტერიტორია იკავებს მთლიანად რაჭა-ლეჩხუმის არტეზიულ აუზს.

რაიონში ფართოდ არის გავრცელებული მიწისქვეშა წყლები, რომლებიც წარმოდგენილია კარსტული, ნაპრალოვან-კარსტული, ნაპრალოვანი, ფოროვანი, ფოროვან-ფენებრივი და ნაპრალოვან-ფენებრივი ტიპებით.

საკვლე ტერიტორიაზე ლ. ხარატიშვილის (1964-65) მიერ ჰიდროგეოლოგიური კვლევების შედეგად გამოყოფილი იქნა 16 წყალშემცველი ჰორიზონტები, კომპლექსები და წყალგაუმტარი ნაღებები.

შესწავლილ ტერიტორიაზე ვხვდებით მიწისქვეშა წყლების მრავალ გამოვლინებას, როგორც აღმავალი ასევე დაღმავალი წყაროების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ მეწყრულ სხეულად წოდებული მასა მთლიანად გაჯერებულია წყლით.

ტერიტორიაზე გაბურღული ჭაბურღილებით დადგენილია გრუნტის წყლების გავრცელების ზონები. ცდებით დადგინდა ტერიტორიის ამგები გრუნტების ფილტრაციული თვისებები, როგორც აერაციის (წყლის ჩასხმა) ასევე წყალშემცველ ზონებში (ამოტუმბვა).

ქვემოთ ცხრილში 5.1 მოცემულია გაბურღულ ჭაბურღილებში დადგენილი გრუნტის წყლის სტატიკური დონეები 2016 წლის 6-10 აგვისტოს მონაცემებით.

ცხრილი 5.1

ჭაბ №	წყლის დამყარებული დონე, მ
BH 3	1.0
BH 4	9.4
BH 4a	11.3
BH 5	4.3
BH 6	26.5
BH 7	11.2
BH 8	11.0



## 6. ტექტონიკა და სეისმურობა

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დარაიონების სქემის (ე.გამყრელიძე, 2000წ) მიხედვით საკვლევი რაიონი მიეკუთვნება კავკასიონის ნაოჭა სისტემის გაგრა-ჯავის ზონას.

საკვლევი ტერიტორია მოიცავს რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილო ფრთას, რომელიც რამდენიმე დამატებითი ნაოჭითაა გართულებული. ამიტომ ის აქ სინკლინორიუმს უფრო წააგავს ვიდრე მარტივ დიდ სინკლინს.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინი კავკასიონის გასწვრივი რთული ასიმეტრიული ნაოჭია, რომელსაც ციცაბო, და დასავლურ ნაწილში სამხრეთისკენ გადმოზრუნებული ჩრდილო ფრთა და შედარებით დამრეცი სამხრეთული ფრთა აქვს. სინკლინი დასავლეთიდან-აღმოსავლეთისკენ 60 კმ მანძილზე ვრცელდება.

ჩრდილოეთიდან მას სორის ანტიკლინი საზღვრავს, დასავლეთით იზოკლინური წიფლისკარის სინკლინის სახით გრძელდება. ამ უკანასკნელის ჩრდილო ფრთა ჩრდილოეთიდან შემოცოცებული ბაიოსის პორფირიტული წყებით არის გადაფარული.

რაჭა-ლეჩხუმის სინკლინი დასავლურ ნაწილში (ლეჩხუმის ტერიტორიაზე) ფართოა და მისი სამხრეთული ფრთა დამატებითი ნაოჭებით არის გართულებული..

მდ. ლაჯანურის და სოფ.გენდუმს შუა სინკლინი ძლიერ არის შეკუმშული, რომელიც ლაბეჭინის ანტიკლინის არსებობით არის გამოწვეული. ჩრდილო-დასავლეთიდან ამ ანტიკლინს ნესპერის ანტიკლინი საზღვრავს.

ნესპერის ანტიკლინს ჩრდილოეთით მცირე ზომის ლასურიაშის ანტიკლინი შეიმჩნევა, რომელიც დასავლეთისკენ ქრება და მის ჩრდილოეთით წიფერ-ლესინდის სინკლინის სამხრეთულ ფრთას ერწყმის, რომელსაც დეხვირის ანტიკლინი მოჰყვება, რომელიც აღმოსავლეთით, ისევე, როგორც ზემოთ აღნიშნული ნაოჭები მდ. ლაჯანურის მარჯვენა ნაპირზე იშლება და ქრება.

მეორე რიგის რამდენიმე ნაოჭი შეიმჩნევა რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთ ფრთაში საირმის სინკლინი, ზოგიშ-ქვედა შავრის ანტიკლინი, ღვარდიის სინკლინი, რადიშის ანტიკლინი, აბანოეთის სინკლინი, ლემანეურის ანტიკლინი და ხოტევის



სინკლინი. აღნიშნული ნაოჭები ჩვენის საკვლევ არიალს გარეთ მდებარეობს, ამიტომ მათზე ყურადღებას არ ვამახვილებთ.

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, საკვლევ ტერიტორია (სოფ. კენაში #2584) მიეკუთვნება 9 ბალიანი მიწისძვრების ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი 0,40-ის ტოლია (საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება N1-1/2284, 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი; სამშენებლო ნორმების და წესების -„სეისმომედეგი მშენებლობა“ (პნ 01.01-09) -დამტკიცების შესახებ).



## 7. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა

ჰიდროელექტრო-სადგურის საპროექტო სქემის მიხედვით, სათავე ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია მდინარე რაჩხას ზემო წელში, სათავე ნაგებობიდან გამომავალი სადაწნო მილსადენი მიუყვება ხეობის მარცხენა ფერდობს, საიდანაც წყალი მიეწოდება „რაჩხა“ ჰესის შენობას. ჰესის შენობა განთავსდება მდინარეების რაჩხასა და ცხენისწლის შესართავთან.

როგორც ზევით აღვნიშნეთ შესწავლილი ტერიტორია წარმოადგენს პალეო (ძველი) მეწყრულ სხეულს, მისი, მეწყრული სხეულის სიმძლავრე გაცილებით მეტია ვიდრე ჩვენს მიერ დაძიებული სიღრმე (35მ). ამჟამად მეწყერი სტაბილურია, თუ არ ჩავთვლით ზედაპირზე განვითარებულ არამძლავრ ჩაწყვეტებს. მშენებლობის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია აღნიშნული გარემოება, რადგან ზედმეტმა უხეშმა ჩარევამ შესაძლებელია გამოიწვიოს სტაბილურ მდგომარეობაში მყოფი მეწყრული ტანის რომელიმე ნაწილის გააქტიურება. არსებული ფერდობის დამუშავებისას არ უნდა ჩავჭრად იგი დასაშვებ ნორმაზე მეტად, არ უნდა გამოვიყენოთ აფეთქება, ან ძლიერი ვიბრატორებით ტერიტორიის დამუშავება, რათა არ მოვახდინოთ ადრე უკვე ნამოძრავები, თუმცა ამჟამად სტაბილური მეწყრული სხეულის პროვოცირება.

ჩატარებული კვლევების მასალებზე დაყრდნობით შედგენილია ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა (ნახაზი 2).

### 7.1 სათავე ნაგებობა

სათავე ნაგებობის ტერიტორიაზე დაგეგმილია 2 ჭაბურღილის გაყვანა თითოეული 35მ სიღრმის. ამ ეტაპზე სათავე ნაგებობამდე მისასვლელი გზა არ არსებობს, ამიტომ მხოლოდ აგეგმვის და გეოფიზიკური კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით არის შესაძლებელი ტერიტორიის ამგებ ქანებზე საუბარი.

მდინარის კალაპოტის სიგანე 15-20 მეტრია, იგი შევსებულია, დიდი ზომის ლოდებით და ხრეშით ქვიშნარის შემავსებლით. ხეობა არ არის ღრმა, დიდი ზომის ლოდები რითიც შევსებულია ხეობა, არ აძლევს მდინარეს სიღრმული ეროზიული მოქმედების საშუალებას. ხეობის მარჯვენა ფერდობი შედარებით დახრილია მარცხენაზე. ორივე ფერდობი წარმოდგენილია მძლავრი მეწყრული სხეულის სახით (პალეო მეწყერი), რომელშიც მოედინება მდინარე რაჩხა.

აგეგმვის მასალებზე დაყრდნობით შედგენილია სათავე ნაგებობის უბნის საინჟინრო-გეოლოგიური რუკა (ნახაზი 3).



## 7.2 სადაწნეო მილსადენი

სადაწნეო მილსადენი მიუყვება ხეობის მარცხენა ფერდობს და ეშვება მდინარე ცხენიწყალის შესართავამდე. მილდენის ტრასის გასწვრივ ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური აგებმა. ჩატარდა გეოფიზიკური კვლევა რომლის შესაბამისი მასალა მოცემულია ამავე ანგარიშის მე-11 პარაგრაფში.

„რაჩხა ჰესი“-ს სადაწნეო მილსადენი მოუყვება მდ. რაჩხას ხეობის მარცხენა ფერდობს. ფერდობი წარმოდგენილი მძლავრი მეწყრული სხეულის სახით (პალეო მეწყერი), ამავე ფერდობზე ხშირია გრუნტის წყლის გამოსავლები წყაროების სახით. ფერდობზე წარმოდგენილი მეწყრული სხეული რიგ ადგილებში განიცდის მეორად დამეწყვრას. როგორც უბნის საინჟინრო-გეოლოგიური რუკიდან (ნახაზი 2) ჩანს მეორადი მეწყრული სხეულები ძირითადად დაკავშირებულია არსებულ გზასთან, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ პროცესების პროვოცირება გზის მშენებლობით, ანუ ადამიანის ბუნებაზე ზემოქმედებით არის გამოწვეული.

ტრასის გასწვრივ გაყვანილი იქნა 7 ერთეული შურფი, თითოეული 2.5მ სიღრმის, გაიბურდა ჭაბურღილები №3 - 35მ სიღრმის, №4-15მ, №4ა-35მ, №5-15მ და №6 ჭაბურღილი 35 მ სიღრმის (ნახაზი 5, ნახაზი 6). როგორც ჭაბურღილების და შურფების ჭრილებიდან ჩანს ტერიტორიის უმეტესი ნაწილი აგებულია ღორღოვანი გრუნტით თიხა-თიხნარიანი შემავსებლით და ყავისფერი ძნელპლასტიკური თიხებით ღორღის და ხვინჯის 20-40%-დე ჩანარებით. აღნიშნულ გრუნტებში მნიშვნელოვანია აღინიშნოს დიდი და ძალიან დიდი ზომის ღორღების არსებობა, ღორღების ზომები ზოგჯერ 7-8მ-ს აღემატება.



### 7.3 ჰესის შენობა

ჰესის შენობის მოწყობა დაგეგმილია მდინარეების რაჩხასა და ცხენისწყლის შესართავთან, შესართავიდან 8.0მ სიმაღლეზე, საავტომობილო გზის ქვემოთ, მდინარეების რაჩხასა და ცხენისწყლის შესართავთან მდინარე რაჩხას გამოზიდვის კონუსზე (პროლუვიონი). გამოზიდვის კონუსი წარმოდგენილია საშუალო და წვრილი ზომის ლოდებით ღია ყავისფერი ქვიშნარ-თიხნარიანი შემავსებლით.

ჰესის შენობის სამშენებლო მოედანი წარმოადგენს ხელოვნურად დამუშავებულ ტერტორიას. უბანზე ჩატარდა საინჟინრო-გეოლოგიური აგეგმვა, ჩატარდა გეოფიზიკური კვლევა. სამშენებლო მოედნის ლითოლოგიური აგებულების დასადგენად გაიბურდა 2 ჭაბურღილი №7 და №8 თითოეული 35მ სიღრმის. როგორც ჭაბურღილების ჭრილებიდან ჩანს აქაც, ისევე როგორც სადაწნო მილსადენის ტრასაზე ტერიტორია ძირითადად აგებულია ღორღოვანი გრუნტით და 1-დან 3.0მ-დე სიმძლავრის ყავისფერი ძნელპლასტიკური თიხებით ღორღის და ხვინჯის ჩანარებით. გარდა ამ გრუნტებისა ჭრილში 12.1-12.5მ სიღრმიდან გვხვდება 3.0მ-დე სიმძლავრის ალუვიური გენეზისის კენჭნარი ქვიშის შემავსებლით. მეოთხე სახესხვაობა გრუნტების, რომლითაც აგებულია ჭრილი წარმოადგენს თიხაქვიშა, იგი გავრცელებულია ღინზების და შუაშრეების სახით, შრის სიმძლავრე 1.2-2.5მ-ს არ აღემატება.

როგორც აღნიშნეთ ჰესის შენობის სამშენებლო მოედანი განთავსებულია მდ. რაჩხას გამოზიდვის კონუსზე, რომელიც ლითოლოგიურად ძირითადად წარმოდგენილია ღორღოვანი გრუნტით ლოდების ჩანარებით. აღნიშნული მასალით აგებული ფერდო საკმაოდ არამდგრადია, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია სამშენებლო მოედნის მომზადებისას. ღორღოვანი გრუნტისათვის ფიზიკური და მექანიკური მახასიათებლები მოცემულია ტექსტის ბოლოს საანგარიშო მაჩვენებლების ცხრილში 10.1.



## 8. საველე ცდები

ტექნიკური დავალების თანახმად ჭაბურღილებიდან და შურფებიდან აღებულ დაშლილი და დაუშლელი სტრუქტურის ნიმუშებს, ჩაუტარდა შესაბამისი ლაბორატორიული კვლევა.

ჭაბურღილებში 20მ სიღრმემდე ჩატარდა სტანდარტული პენეტრაციის ცდები.

სამშენებლო მოედნის ამგები გრუნტების ფილტრაციული თვისებების დასადგენად აერაციის ზონაში ჩატარდა წყლის საცდელი ჩასხმები ჭაბურღილში – ნასბერგის მეთოდით, ხოლო წყალშემცველი პორიზონტების დასინჯვა მოხდა საცდელი ამოტუმბვებით.

### 8.1 სტანდარტული პენეტრაციის ცდები (SPT)

ყველა გაბურღულ ჭაბურღილებში ჩატარდა სტანდარტული პენეტრაციის SPT(C)-ს ცდები, სულ 62 ცდა.

SPT(C)-ს ჩატარებისას გამოყენებულია საშუალო სიმძიმის ჩაქუჩი რომლის წონა 60 კგ-ს შეადგენს, ხოლო ვარდნის სიმაღლე 800მმ. გამოყენებული კონუსის მაქსიმალური დიამეტრი 74მმ-ია, წონა 1კგ, წვეროს კუთხე 60<sup>0</sup>-ია.

ცდის შედეგები მოცემულია ჭაბურღილების ჭრილებზე. ცხრილში 8.1.1 მოყვანილია ჩატარებული SPT(C)-ს შედეგები ინტერვალების მიხედვით, მოცემული რიცხვები შეესაბამება კონუსის ჩაღრმავების A, B, C და B+C ინტერვალებს, B+C ინტერვალის სიგრძე 30სმ-ის ტოლია. როგორც ცხრილიდან ჩანს სვე 1 თიხოვანი გრუნტებისათვის B+C ინტერვალისათვის დარტყმათა რიცხვი 17.9-ს ტოლია, სვე 1 თიხები ძნელპლასტიკური კონსისტენციის გრუნტებს შეესაბამება. სვე 2 ღორღოვანი გრუნტებისათვის დარტყმათა რიცხვის ჯამური სიდიდე >50-ზე, ასეთი სიდიდე გამოწვეულია გრუნტში ღოდების ასეობით, სვე 2 გრუნტები მიეკუთვნებიან მკვრივ გრუნტებს. სვე 3 კენჭნარებისათვის დარტყმათა რიცხვის სიდიდე 41.0-ის ტოლია, სვე 3 გრუნტებიც მიეკუთვნებიან მაგარ გრუნტებს. სვე 4 თიხაქვიშები მიეკუთვნებიან მკვრივი გრუნტების კატეგორიას დარტყმათა რიცხვის საშუალო ჯამური სიდიდე 37.0-ის ტოლია.



ცხრილი 8.1.1

№	ჭაბ.№	ცდის ინტერვალი, მ		სტეკ, №	A	B	C	B+C
1	4	5.5	5.95	1	7	10	10	20
2	4	7.0	7.45	1	9	9	9	18
3	4	10.4	10.85	1	8	8	9	17
4	5	2.7	3.15	1	7	7	9	16
5	5	4.2	4.65	1	8	10	9	19
6	5	6.0	6.45	1	9	8	10	18
7	5	7.3	7.75	1	15	8	9	17
8	5	13.3	13.75	1	14	12	9	21
9	4a	0.8	1.25	1	10	8	8	16
10	4a	2.8	3.25	1	9	10	9	19
11	4a	4.8	5.25	1	7	11	9	20
12	4a	6.5	6.95	1	7	8	7	15
13	4a	8.0	8.45	1	8	9	9	18
14	4a	9.2	9.65	1	11	9	9	18
15	4a	11.2	11.65	1	8	8	8	16
<b>საშუალო</b>								<b>17.9</b>
16	3	1.0	1.45	2	20	11	>25	>50
17	3	3.2	3.65	2	18	>25		>50
18	3	5.0	5.45	2	12	10	>25	>50
19	3	7.3	7.75	2	21	22	24	46
20	3	10.8	11.25	2	>25	-	-	>50
21	3	12.4	12.85	2	>25	-	-	>50
22	3	15.0	15.45	2	20	20	>25	>50
23	3	17.8	18.25	2	17	>25	-	>50
24	4	1.2	1.65	2	22	21	20	41
25	4	4.0	4.45	2	>25	-	-	>25
26	4	12.6	13.05	2	17	19	22	41
27	5	9.8	10.25	2	>25	-	-	>50
28	5	11.6	12.05	2	>25	-	-	>50
29	6	1.6	2.05	2	15	18	18	36
30	6	3.3	3.75	2	>25	-	-	>50
31	6	5.0	5.45	2	>25	-	-	>50
32	6	8.5	8.95	2	23	23	>25	>50
33	6	10.6	11.05	2	>25	-	-	>50
34	6	12.5	12.95	2	>25	-	-	>50
35	6	14.5	14.95	2	>25	-	-	>50
36	6	16.2	16.65	2	17	19	>25	>50
37	6	17.8	18.25	2	20	>25	-	>50
38	7	2.0	2.45	2	>25	-	-	>50
39	7	4.0	4.45	2	21	21	23	44
40	7	5.3	5.75	2	>25	-	-	>50



41	7	6.5	6.95	2	>25	-	-	>50
42	7	9.1	9.55	2	19	24	>25	>50
43	7	10.7	11.15	2	20	21	>25	>50
44	7	15.4	15.85	2	>25	-	-	>50
45	7	16.5	16.95	2	>25	-	-	>50
46	7	17.8	18.25	2	22	>25	-	>50
47	8	0.3	0.75	2	17	22	20	42
48	8	2.5	2.95	2	>25	-	-	>50
49	8	4.3	4.75	2	22	>25	-	>50
50	8	7.3	7.75	2	19	23	23	46
51	8	9.0	9.45	2	>25	-	-	>50
52	8	11.1	11.55	2	>25	-	-	>50
53	8	18.4	18.85	2	>25	-	-	>50
54	4a	13.3	13.75	2	>25	-	-	>50
55	4a	15.6	16.05	2	24	24	23	47
56	4a	17.4	17.85	2	23	22	25	47
57	4a	19.5	19.95	2	23	22	24	46
<b>საშუალო</b>								<b>&gt;50</b>
58	7	12.3	12.75	3	20	21	20	41
59	7	14.1	14.55	3	17	19	21	40
60	8	15.5	15.95	3	22	20	21	41
61	8	17.0	17.45	3	20	20	22	42
<b>საშუალო</b>								<b>41.0</b>
62	8	13.3	13.75	4	17	18	19	37
<b>საშუალო</b>								<b>37.0</b>



## 8.2 წყლის საცდელი ჩასხმა ჭაბურღილებში

გაბურღულ ჭაბურღილებში, გრუნტის წყლის დონემდე, აერაციის ზონაში, ჩატარებულია წყლის საცდელი ჩასხმები, რითიც დადგინდა აერაციის ზონის, სგე 1 თიხების და სგე 2 ღორღოვანი გრუნტების ფილტრაციული თვისებები.

სულ ჩატარდა 16 საცდელი ჩასხმის ცდა, ცდები ჩატარებულია ვ. ნახევრის მეთოდით. ფილტრაციის კოეფიციენტი ისაზღვრება ფორმულით:

$$K_f = 0.423(Q/h^2) \lg(2h/r)$$

სადაც:  $K_f$ -ფილტრაციის კოეფიციენტი მ/დღ,  $Q$  – წყლის დამყარებული ხარჯი მ<sup>3</sup>/დღ,  $h$  – წყლის სვეტის სიმაღლე (ჩასხმის სიმაღლე) –მ,  $r$  – ჭაბურღილის რადიუსი –მ.

ცდის შედეგები მოცემულია ცხრილში 8.2.1, საიდანაც ჩანს, რომ ღორღოვანი სგე 2 გრუნტებისათვის ფილტრაციის კოეფიციენტის სიდიდე ცვალებადობს 1.34მ/დღ-დან 10.96მ/დღ-დე, საშუალოდ 5.22მ/დღ-ის ტოლია. სგე 1 თიხებისათვის ცვალებადობს 0.39მ/დღ-დან 1.40მ/დღ-დე, საშუალოდ 0.65მ/დღ.

ცხრილი 8.2.1

№	ჭაბ №	ჩასხმის ინტერვალი, მ	ჭაბ. რადიუსი, მ	წყლის სვეტის სიმაღლე, მ	დამყარებული ხარჯი, Q ლ/წთ	დამყარებული ხარჯი, Q ლ/წთ	ფილტრაციის კოეფიციენტი, K <sub>f</sub> /დღ	სგე №
1	4	2-5	0.073	3	4.20	6.05	4.90	2
2	6	1-4	0.0635	3	7.40	10.66	8.90	
3	6	6-9	0.0635	3	3.20	4.61	3.85	
4	6	10-13	0.054	3	5.10	7.34	6.36	
5	6	15-18	0.054	3	2.80	4.03	3.49	
6	7	1-4	0.073	3	1.18	1.70	1.38	
7	7	5-8	0.073	3	3.00	4.32	3.50	
8	7	9-12	0.073	3	9.40	13.54	10.96	
9	8	1-4	0.073	3	7.80	11.23	9.10	
10	8	5-8	0.073	3	3.10	4.46	3.62	
11	8	9-12	0.073	3	1.15	1.66	1.34	
<b>საშუალო</b>							<b>5.22</b>	
12	4	6-9	0.073	3	0.32	0.46	0.37	1
13	4a	0-3	0.073	3	0.27	0.39	0.31	
14	4a	4-7	0.073	3	0.44	0.63	0.51	
15	4a	8-11	0.054	3	1.12	1.61	1.40	
16	5	1-4	0.054	3	0.51	0.73	0.64	
<b>საშუალო</b>							<b>0.65</b>	



### 8.3 წყლის საცდელი ამოტუმბვა ჭაბურღილებიდან

შიდივე გაყვანილ ჭაბურღილში გრუნტის წყლის დონის დაბლა წყალშემცველი ფენის ფილტრაციული თვისებების დასადგენად ჩატარდა წყლის საცდელი ამოტუმბვა.

ფილტრაციის კოეფიციენტის საანგარიშო სქემის შერჩევისას დაცულია შემდეგი პირობები: წყლის საცდელი ამოტუმბვა ჩატარდა ერთეული არასრულყოფილი ჭაბურღილებიდან, უწნო გრუნტის წყლის პირობებში.

ფილტრაციის კოეფიციენტი გამოთვლილია შემდეგი ფორმულით:

$$K_f = 0.73Q[\lg R/r_0 + 0.217x\xi]/(2H - S_0)S_0; \quad \text{სადაც:}$$

**$K_f$**  – ფილტრაციის კოეფიციენტი, მ/დღ;

**$R$**  – გავლენის რადიუსი, მ;

**$r_0$**  – ჭაბურღილის რადიუსი, მ;

**$H$**  – წყალშემცველი ფენის სიმაღლე, მ;

**$S_0$**  – დონის დაწევა ჭაბურღილში;

**$\xi$**  – ჭაბურღილის არასრულყოფილების კოეფიციენტი;

დანართში 5 მოცემულია საცდელი ამოტუმბვის მონაცემები ცალ-ცალკე შიდივე ჭაბურღილისათვის.

როგორც დანართი 5 ჩანს სვე 1 თიხების ფილტრაციის კოეფიციენტის სიდიდე 0.90მ/დღ-ის ტოლია, სვე 2 ღორღოვანი გრუნტისათვის ფილტრაციის კოეფიციენტის საშუალო სიდიდე 2.89მ/დღ, სვე 3 კენჭნარებისათვის ფილტრაციის კოეფიციენტი ყველაზე მაღალია და იგი საშუალოდ შედგენს 14.63მ/დღ-ს. სვე 4 თიხაქვიშებისათვის ფილტრაციის კოეფიციენტი 9.89მ/დღ-ის ტოლია.

ცხრილში 8.1 მოცემულია ამოტუმბვის შედეგები.



ცხრილი 8.3.1

ჭაბ №	სტე №	K <sub>f</sub> მ/დღღ
BH 3	2	3.03
BH 4	1+2	2.20
BH 4a	2	4.12
BH 5	1	0.90
BH 6	2	2.23
BH 7	3	14.63
BH 8	4	9.89



## 9. გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები

საკვლევ ტერიტორიაზე გაყვანილი ჭაბურღილებიდან და შურფებიდან აღებულია 23 დაუშლელი სტრუქტურის (მონოლითი) და 43 დაშლილი სტრუქტურის ნიმუში.

ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. „გეოტექსერვისი“-ს კუთვნილ გეოტექნიკურ ლაბორატორიაში, საქართველოში მოქმედი სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

ლაბორატორიული კვლევა მოიცავდა გრუნტების დაშლილი და დაუშლელი სტრუქტურის ნიმუშების კვლევას.

გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზი ჩატარებულია 8 სინჯისათვის.

წყალში შეტივტივებული მყარი მასალისათვის ჩატარდა ერთი გრანულომეტრიული და ერთი რენდგენოფაზური ანალიზი (დანართი 6).

გაბურღული ჭაბურღილების ლითოლოგიური ჭრილების და ლაბორატორიული კვლევების ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შესწავლილ უბანზე გამოიყო 4 გრუნტის სახესხვაობა, ოთხი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი.

**სგე 1** - თიხა, ყავისფერი, ძნელპლასტიკური, კარბონატული, ხვინჭის და ღორღის 20-40%-მდე ჩანართებით;

**სგე 2** – ღორღოვანი გრუნტი ხვინჭისა და ღორღების ჩანართებით, თიხა-თიხნარიანი შემავსებლით, ძლიერ კარბონატული (მონატეხოვანი მასალა ძირითადად წარმოდგენილია კირქვით), შემავსებელი ღია ყავისფერი მონაცრისფრო, ძნელპლასტიკური, იშვიათად რბილპლასტიკური.

**სგე 3** – კენჭოვანი გრუნტი, წვრილი და საშუალო ზომის ხრეშით, სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული.

**სგე 4** - თიხაქვიშა, საშუალო მარცვლოვანი, მუქი ნაცრისფერი, კენჭებისა და ხრეშის ჩანართებით.

**სგე 1** თიხა, ყავისფერი, ძნელპლასტიკური, კარბონატული, ხვინჭის და ღორღის 20-40%-მდე ჩანართებით შესწავლილია ცხრაშეტი ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. სგე 1 გრუნტებისათვის ფიზიკური მაჩვენებლებიდან განსაზღვრულია: ბუნებრივი ტენიანობა, მოცულობითი და ხვედრითი წონები, პლასტიკურობის ზღვრები. განსაზღვრულია მათი გრანულომეტრიული შედგენილობა – 9 ცდა.



ძერის მაჩვენებლები შინაგანი ხახუნის კუთხე და შეჭიდულობა შესწავლილია წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მათი საშუალო მნიშვნელობები: შინაგანი ხახუნის კუთხე 14.4 გრადუსის ტოლია, ხოლო შეჭიდულობა 41.2 კპა (დანართი 1, დანართი 4).

სგე 2 – ღორღოვანი გრუნტი ხვინჯისა და ღოდების ჩანართებით, თიხა-თიხნარიანი შემავსებლით, ძლიერ კარბონატული (მონატეხოვანი მასალა ძირითადად წარმოდგენილია კირქვით), შემავსებელი ღია ყავისფერი მონაცრისფრო, ძნელპლასტიკური, იშვიათად რბილპლასტიკური – შესწავლილია ცხრამეტი ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. სგე 2 გრუნტებისათვის ფიზიკური მაჩვენებლებიდან განსაზღვრულია: ბუნებრივი ტენიანობა, ხვედრითი წონა, პლასტიკურობის ზღვრები. განსაზღვრულია მათი შემავსებლის გრანულომეტრიული შედგენილობა – 5 ცდა (დანართი 2), ხოლო შურფებიდან აღებულ ნიმუშებზე ჩატარდა სრული (საველე გაცრა, ლაბორატორიული საცრული და არეომეტრული ანალიზი) გრანულომეტრიული ანალიზი – 7 ცდა (დანართი 3).

სგე 3 – კენჭოვანი გრუნტი, წვრილი და საშუალო ზომის ხრეშით, სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული შესწავლილია ორი ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. სგე 3 გრუნტებისათვის ფიზიკური მაჩვენებლებიდან განსაზღვრულია: ბუნებრივი ტენიანობა და ხვედრითი წონა. განსაზღვრულია მათი შემავსებლის გრანულომეტრიული შედგენილობა – 2 ცდა (დანართი 2).

სგე 4 - თიხაქვიშა, საშუალო მარცვლოვანი, მუქი ნაცრისფერი, კენჭებისა და ხრეშის ჩანართებით შესწავლილია ორი ნიმუშის ლაბორატორიული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით. სგე 4 გრუნტებისათვის ფიზიკური მაჩვენებლებიდან განსაზღვრულია: ბუნებრივი ტენიანობა, მოცულობითი და ხვედრითი წონები, პლასტიკურობის ზღვრები. განსაზღვრულია მათი გრანულომეტრიული შედგენილობა – 2 ცდა.

ძერის მაჩვენებლები – 2 ცდა, შინაგანი ხახუნის კუთხე და შეჭიდულობა შესწავლილია წყალგაჯერებულ მდგომარეობაში მათი საშუალო მნიშვნელობები: შინაგანი ხახუნის კუთხე 20.7 გრადუსის ტოლია, ხოლო შეჭიდულობა 7.6 კპა (დანართი 1, დანართი 4).

შესწავლილი გრუნტების ლაბორატორიული კვლევის შედეგები მოცემულია დანართებში.

ჭაბურღილებიდან აღებული გრუნტის წყლების ქიმიური შედგენილობა შესწავლილია 8 ნიმუშისათვის. წყლების ქიმიური ანალიზი მოცემულია დანართში 6,



დანართში 7 მოცემულია გრუნტების აგრესიულობის ხარისხი ბეტონების მიმართ, დანართში 8 მოცემულია გარემოს აგრესიულობის ხარისხი. როგორც დანართებიდან ჩანს წყლები ჰიდროკარბონატულ კალციუმიანია. წყლები არ არიან აგრესიული ბეტონების მიმართ, მხოლოდ ამუღავნებენ სუსტ და საშუალო აგრესიულობას წყალბად იონის მაჩვენებლით.

წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის არმატურაზე მათი პერიოდულად დასველების შემთხვევაში არის სუსტი. ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი  $>0.1\text{მ/დღე-ღამე-ზე}$  არის საშუალო.



## 10. საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა

ჩატარებული კვლევების შედეგების და არსებული მასალების ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

1. ჭაბურღილების ჭრილების მიხედვით შესწავლილ უბნებზე გამოიყო ოთხი ლითოლოგიური სახესხვაობა, ოთხი საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე).

**სგე 1** - თიხა, ყავისფერი, ძნელპლასტიკური, კარბონატული, ხვინჭის და ღორღის 20-40%-მდე ჩანართებით;

**სგე 2** – ღორღოვანი გრუნტი ხვინჭისა და ღორღების ჩანართებით, თიხა-თიხნარიანი შემავსებლით, ძლიერ კარბონატული (მონატეხოვანი მასალა ძირითადად წარმოდგენილია კირქვით), შემავსებელი ღია ყავისფერი მონაცრისფრო, ძნელპლასტიკური, იშვიათად რბილპლასტიკური.

**სგე 3** – კენჭოვანი გრუნტი, წვრილი და საშუალო ზომის ხრეშით, სხვადასხვა მარცვლოვანი ქვიშის შემავსებლით, წყალგაჯერებული.

**სგე 4** - თიხაქვიშა, საშუალო მარცვლოვანი, მუქი ნაცრისფერი, კენჭებისა და ხრეშის ჩანართებით.

2. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით უბანი მიეკუთვნება III რთულ კატეგორიას;
3. შესწავლილი რაიონი გეომორფოლოგიურად მიეკუთვნება დაბალმთიანი მესამეული ასაკის ნალექებით აგებული ეროზიულ-მეწვრული რელიეფის მქონე რაჭა-ლეჩხუმის სინკლინურ ზონას;
4. შ სწავლილი ტერიტორია მოიცავს რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ჩრდილოეთ ფრთას, რომელიც რამდენიმე დამატებითი ნაოჭითაა გართულებული, ამიტომ ის აქ სინკლინორიუმს უფრო წააგავს ვიდრე მარტივ დიდ სინკლინს;
5. შესწავლილი ტერიტორია ძირითადად აგებულია იურული, ცარცული და მეოთხეული ასაკის ნალექებით;
6. ტერიტორია წარმოადგენს პალეო (ძველ) მეწვრულ სხეულს, რომელიც მოწყვეტილია ასხის მასივისგან და ჩამოცურებულია კიმერიჯულ-ტიტონური ასაკის ფერადი წყების თიხებზე მდინარე ცხენისწყლის ხეობის მიმართულებით;
7. არსებული მეწვრული სხეული მთლიანობაში სტაბილურია, მხოლოდ მისი ზედაპირული ზოგიერთი ნაწილი, სხვადასხვა ძალების ზემოქმედებით



- (გრაფიტაცია, მიწისქვეშა წყლების ზეგავლენა, ტექნოგენური პროცესები, ხეების ჭრა და სხვა) იმყოფება არამდგრად მდგომარეობაში;
8. შესწავლილ ტერიტორიაზე ყველგან ვხვდებით მიწისქვეშა წყლების მრავალ გამოვლინებას, როგორც აღმავალი ისე დაღმავალი წყაროების სახით, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს მიერ მეწერულ სხეულად წოდებული მასა მთლიანად გაჯერებულია წყლით;
  9. გაბურღული ჭაბურღილების მონაცემებით გრუნტის წყლების დამყარებული დონეები 1.0მ-დან 26.5მ სიღრმემდე ცვალებადობს;
  10. სეისმური თვისებების მიხედვით ყველა გამოვლენილი გრუნტი მიეკუთვნება II კატეგორიას;
  11. საკვლევი ტერიტორია მიეკუთვნება 9 ბალიან მიწისძვრების ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი 0.40-ის ტოლია;
  12. სტანდარტული პენეტრაციის ცდების (სპც) მიხედვით სგე 1 თიხოვანი გრუნტებისათვის B+C ინტერვალისათვის დარტყმათა რიცხვი 17.9-ს ტოლია - თიხები ძნელპლასტიკური კონსისტენციის გრუნტებს შეესაბამება;
  13. სგე 2 ღორღოვანი გრუნტებისათვის დარტყმათა რიცხვის ჯამური სიდიდე >50-ზე, ასეთი სიდიდე გამოწვეულია გრუნტში ლოდების ასეობით, გრუნტები მიეკუთვნებიან მკვრივ გრუნტებს;
  14. სგე 3 კენჭნარებისათვის დარტყმათა რიცხვის სიდიდე 41-ის ტოლია, გრუნტები მიეკუთვნებიან მკვრივ გრუნტებს;
  15. სგე 4 თიხაქვიშები მიეკუთვნებიან მკვრივი გრუნტების კატეგორიას დარტყმათა რიცხვის საშუალო ჯამური სიდიდე 37.0-ის ტოლია;
  16. ჩატარებული საველე ჰიდროგეოლოგიური (ამოტუმბვა, ჩასხმა) ცდების მონაცემების მიხედვით - სგე 1 თიხების ფილტრაციის კოეფიციენტი 0.77მ/დღდ-ის ტოლია, სგე 2 ღორღოვანი გრუნტისათვის – 4.05 მ/დღდ, სგე 3 კენჭნარისათვის – 14.63მ/დღდ, სგე 4 თიხაქვიშებისათვის – 9.89მ/დღდ;
  17. გრუნტის წყლები ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი დამარილიანების ტიპისაა;
  18. წყლები არ არიან აგრესიული ბეტონების მიმართ, მხოლოდ ამჟღავნებენ სუსტ და საშუალო აგრესიულობას წყალბად იონის მაჩვენებლით;



19. წყლის აგრესიული ზემოქმედების ხარისხი რკინა-ბეტონის არმატურაზე მათი პერიოდულად დასველების შემთხვევაში არის სუსტი. ქანების აგრესიული ზემოქმედების ხარისხი ნახშირბადიან ფოლადზე, გრუნტის წყლის დონის დაბლა იმ ქანებისათვის რომელთა ფილტრაციის კოეფიციენტი  $>0.1\text{მ/დღე-ღამე-ზე}$  არის საშუალო
20. კვლევების შედეგად მიღებული საინჟინრო გეოლოგიური ელემენტებისათვის საანგარიშო მაჩვენებლები მოცემულია ტექსტის ბოლოს ცხრილში 10.1

ცხრილი 10.1

სვე №	გრუნტის კატეგორია დამუშავების მიხედვით (CHNII-IV-5-85, ცხრილი I)	გრუნტების კატეგორია სეისმურობის მიხედვით (CHNII-II-7-81)	დროებითი ქანობი		სიმკვრივე $\rho$ , გრ/სმ <sup>3</sup>	მინერალური ნაწილის სიმკვრივე $\rho_s$ , გრ/სმ <sup>3</sup>	ბუნებრივი ტენიანობა $W$ , %	შეჭიდულობა, $C$ კპა		გრუნტების საანგარიშო წინააღმდეგობა $R_0$ , კპა
			3.0 მ	5.0 მ				წყალქვეშ	წყალქვეშ	
1	8გ-III	II	1:0.25	1:0.5	1.87	2.72	31.1	41.4	14.5	230
2	13-IV	II	1:0.85	1:1	1.90	2.70*	25.0*	22**	35**	300
3	6დ-V	II	1:1	1:1	2.30	2.65*	26.0*	1*	42**	500
4	34გ-II	II	1:0.67	1:0.85	1.70	2.70	21.4	6.8	19.5	160

\* პარამეტრები მოცემულია გრუნტის შემავსებლისათვის

\*\* პარამეტრები მოცემულია კვლევის მასალებზე დაყრდნობით სტანდარტული ლიტერატურით.



რეკომენდაციის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: როგორც ზევით აღნიშნულ შესწავლილი ტერიტორია წარმოადგენს პალეო (ძველი) მეწერულ სხეულს, მისი, მეწერული სხეულის სიმძლავრე გაცილებით მეტია ვიდრე ჩვენს მიერ დაძიებული სიღრმე (35მ). ამჟამად მეწერი სტაბილურია, თუ არ ჩავთვლით ზედაპირზე განვითარებულ არამძლავრ ჩაწვევებს. მშენებლობის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია აღნიშნული გარემოება, რადგან ზედმეტმა უხეშმა ჩარევამ შესაძლებელია გამოიწვიოს სტაბილურ მდგომარეობაში მყოფი მეწერული ტანის რომელიმე ნაწილის გააქტიურება. არსებული ფერდობის დამუშავებისას არ უნდა ჩაეჭრად ფერდო დასაშვებ ნორმაზე მეტად, არ უნდა გამოვიყენოთ აფეთქება, ან ძლიერი ვიბრატორებით ტერიტორიის დამუშავება, რათა არ მოვახდინოთ ადრე უკვე ნამოძრავები, თუმცა ამჟამად სტაბილური მეწერული სხეულის პროვოცირება.



## 11. გეოფიზიკური კვლევა

### შესავალი

ანგარიშში წარმოდგენილია რაჩხას ჰიდროელექტროსადგურის სამშენებლო ტერიტორიაზე ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის შედეგები.

საკვლევი უბანი მდებარეობს რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, ცაგერის რაიონში მდ.რაჩხას მიმდებარე ტერიტორიაზე.


ნახ.1-ზე ასახულია საკვლევი უბანი, სეისმური პროფილების, ჭაბურღილებისა და ელექტრომეტრიის ჩატარების უბნები.

### გეოფიზიკური კვლევის მიზანი, ჩატარების მეთოდი და მოცულობა

ჩატარებული გეოფიზიკური კვლევის მიზანს წამოადგენდა:

- საკვლევ ტერიტორიაზე სეისმური საშიშროების შეფასება;
- სეისმური (გარდატეხილი ტალღების მეთოდი) პროფილირებით 30 მეტრ სიღრმემდე სეისმოგეოლოგიური ჭრილის შესწავლა, დრეკადი ტალღების (როგორც გრძივი, ასევე განივი) გავრცელების სიჩქარეების განსაზღვრა, ქანების ფიზიკურ-მექანიკური პარამეტრების შეფასება, გრუნტის კატეგორიის განსაზღვრა; გატარდა 9 სეისმური პროფილი 30მ სიღრმემდე (ნახ.1, SRL1-9) სხვადასხვა სიგრძით, მთლიანობაში 1116 მ.
- საინჟინრო-გეოლოგიური ჭაბურღილების განთავსების ადგილებთან ელექტრომეტრიის (ვერტიკალური ელექტრული ზონდირების) მეთოდით 50 მეტრ სიღრმემდე გეოელექტრული ჭრილის შესწავლა. ვერტიკალური ელექტრული ზონდირების მეთოდით კვლევა ჩატარდა ჰიდროელექტროსადგურის და სათავე ნაგებობის განთავსების ტერიტორიაზე და მილსადენის ტრასის გასწვრივ გაბურღულ №1, №2 №3, №4, №5, №6, №6, №7 და №8 საინჟინრო-გეოლოგიურ ჭაბურღილებთან. სულ კვლევა ჩატარებული იქნა 8 წერტილზე.
- გრუნტზე დამოკიდებული სეისმური საშიშროების შეფასება (აქსელეროგრამების პაკეტის შედგენა), რომელიც განხორციელდა სეისმური პროფილირების შედეგად მიღებული ლოკალური პირობების გათვალისწინებით რეალური მიწისძვრების ჩანაწერების გამოყენებით.





ნახ.1. საკვლევი უბანი, სეისმური პროფილების, ჯაბურღილებისა და ელექტრომეტრიის კვლევის წერტილების განლაგების სქემა.



## 11.1 სეისმური საშიშროების შეფასება

### რეგიონის ტექტონიკა

საქართველო მდებარეობს კავკასიაში, რომელიც ერთ-ერთ სეისმურად აქტიურ რეგიონს წარმოადგენს ალპურ-ჰიმალაურ კოლიზიის სარტყელში. როგორც ისტორიული ასევე ინსტრუმენტული მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონი ხასიათდება ე. წ. საშუალო სეისმურობით, როდესაც ძლიერი მიწისძვრები მაგნიტუდით 7 და ეპიცენტრში მაკროსეისმური ინტენსივობით 9 ბალი (MSKსკალა) ხდება,  $10^3$ - $10^4$  წლის განმეორადობით.

საქართველოში სეისმურობა ასახავს რეგიონის ძირითად ტექტონიკას, რომელსაც განაპირობებს არაბეთის ფილაქნის მოძრაობა ჩრდილოეთის მიმართულებით, რაც თავის მხრივ იწვევს თურქეთის და ირანის ფილაქნების გასხლეტვას შესაბამისად დასავლეთის და აღმოსავლეთის მიმართულებებით, კავკასიონის ქედის აღზევებას და ძირითადად შეცოცების ტიპის სეისმურად აქტიური რღვევების ფორმირებას (Triep et al. 1995, McClusky et al. 2000, Bird 2003).

რღვევების სტრუქტურები საქართველოში ძირითადად არსებობს ძირითადად ტექტონიკური ერთეულების საზღვრებთან. მათი უმრავლესობა აქტიური იყო გვიან ალპურ (ოროგენული) ეტაპზე და ვითარდება დღემდე (Gamkrelidze et al, 1998). კავკასიის ჩრდილო-დასავლეთი და გრძივი რღვევები ორიენტირებულია განედის გასწვრივ. რამდენიმე ინტრაზონალური რღვევას აქვს იგივე მიმართულება. ყველა ეს რღვევა ხასიათდება ძირითადად ხანგრძლივი განვითარებით და წარმოიშვა კავკასიის ფორმირების სხვადასხვა ეტაპზე (შუა პალეოზოური, ადრეული იურიული, გვიანი იურიული, ადრეული ცარცული, გვიანი ცარცული, შუა ეოცენი, გვიან პლიოცენური) კავკასიისა და ტრანსკავკასიის პალეოსტრუქტურების საზღვრებზე: კუნძულის რკალების, დიდი კავკასიონის, აჭარა-თრიალეთის რიფტი. თითქმის ყველა გრძივი რღვევა ტრანსფორმირდა ღრმა შეცოცება (reverse) რღვევაში, შეცოცება (thrust) ან ტექტონიკური გადაფარვა (nappe)კავკასიის ფორმირების ოროგენულ ეტაპზე, დედამიწის ქერქის ინტენსიური შეკუმშვის პროცესში. კავკასიის ტრანსვერსული რღვევები (სუბმერიდიანული, ჩრდილო-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი) ჩამოყალიბდა ბოლო პერიოდში. რღვევების უმრავლესობა განივია. თითქმის ყველა ძირითადი რღვევა გამოვლინდა სხვადასხვა გეოფიზიკურ ველებში. მათი უმეტესობა ჩანს აერო ფოტოები. მულტიდისციპლინარული მონაცემების საშუალებით იყო ნაჩვენები, რომ რღვევების სტრუქტურები რეალურად წარმოადგენენ ბლოკების საზღვრებს (Adamia et al., 2011).

### შეფასების მეთოდოლოგია

ყველაზე ხშირად გამოყენებული მიდგომა განმსაზღვრელი სეისმური დიზაინისათვის საინჟინრო პროექტების ფარგლებში სეისმური საშიშროების ალბათური ანალიზი (PSHA). პირველ რიგში PSHA-ის გამოსავალი არის სეისმური საშიშროების მრუდი, რაც გვიჩვენებს გრუნტის რხევის შერჩეული პარამეტრების (მაქსიმალური ჰორიზონტული აჩქარება PGA და სპექტრული აჩქარება SA) ცვლილებას მოხდენის წლიური სიხშირის მიმართ (ანუ



დაბრუნების პერიოდი) (Bommer J. and N. Abrahamson. 2006, Convertito et al. 2006, Malhotra P. 2007).

გამოყენებულ იქნა სეისმური საშიშროების შეფასების ალბათური მეთოდი, რომელიც ოთხი ეტაპისაგან შედგება (Reiter 1990, Kramer, 1996, Ulomov, Shumilina, 1998, Musson 1999) და პირველად განსაზღვრული იქნა კორნელის მიერ (Cornell, 1968):


**1. მიწისძვრის კერის ზონების გამოვლენა.** საკვლევი ტერიტორია იყოფა დისკრეტულ სეისმურ კერებად, იმ დაშვებით რომ თითოეულ კერაში სეისმურობა ერთგვაროვნად არის განაწილებული. შესაბამისად მოცემული მაგნიტუდის მიწისძვრა თანაბარი ალბათობით შეიძლება მოხდეს კერის ნებისმიერ წერტილში.

**2. მიწისძვრათა განმეორებადობის კანონზომიერებების განსაზღვრა.** მიწისძვრების კატალოგის ანალიზის საფუძველზე, თითოეული სეისმური კერისათვის დგინდება მაგნიტუდურ/სიხშირეული დამოკიდებულება, სეისმურიაქტივობა და სხვა პარამეტრები.

**3. დედამიწის ზედაპირზე მიწისძვრის ეფექტის შეფასება.** შერჩეული იქნა ლოკალური მონაცემების საფუძველზე გათვლილი დაცხრომის ფუნქცია, რომლის მიხედვითაც ფასდება მოცემული მაგნიტუდის მქონე მიწისძვრის მიერ გამოწვეული ეფექტი მოცემულ მანძილზე ეპიცენტრიდან. ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს დაცხრომის ფუნქციაში მონაცემთა გაბნევას, რომელიც ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული გათვლებისას.

**4. საშიშროების შეფასება.** სეისმური საშიშროების შეფასება ეფუძნება იმ ფაქტს, რომ მოცემული მაგნიტუდის მიწისძვრების მოხდენის ალბათობა კერის ზონაში მოცემული დაშორებით ერთმანეთისაგან პროპორციულია კერის ზონის საერთო ფართობის შეფარდებისა იმ ფართობთან, რომელსაც მიწისძვრა მოიცავს. ვინაიდან დაშვების თანახმად თითოეული კერის ზონა ერთგვაროვანი სეისმურობით ხასიათდება, ადვილად შეიძლება დათვლილი იქნას მიწისძვრის განმეორადობა მიწისძვრის კერის ზონის მოცემულ მონაკეთზე. ხდება ჯამური ინტეგრირება მონაცემებისა გრუნტის რხევის მნიშვნელობების, მაგნიტუდების და მიწისძვრის კერის ზონების მიხედვით. მიღებული შედეგებიდან შესაძლებელია დადგინდეს გადაჭარბების ალბათობა მიწისძვრის ინტენსივობის ან გრუნტის აჩქარების ნებისმიერი მნიშვნელობისათვის, იმდაშვებით, რომ სეისმური პროცესი პუასონური ხასიათისაა (Reiter 1990, Kramer 1996, Musson 1999).






ნახ. 2. საქართველოს ძირითადი ტექტონიკური ზონები

სეისმური კერების განსაზღვრა და პარამეტრიზაცია


გეოლოგიური რუკა თანახმად (Gamkrelidze 2005) საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ამიერკავკასიის მთათშუა სისტემის ჩაძირვის ცენტრალურ ნაწილში (ნახ. 2) მტკვრის ხეობის მთათშორისი დეპრესიის ზონაში, კერძოდ ქართლის მოლასურ ქვეზონაში.



ნახ. 3. საქართველოს გეოლოგიური რუკა



